მე შეჯერს იმის განმარტება, რატომ, რა მიზეზით სულ უფრო და უფრო ძალას იკრებს ძალადობა და ბოროტება მსოფლიო მასშტაბით; გამოაცა და შემზარა ჩემი მეგობარი ფიზიკოსის განმარტებამ იმის თაობაზე, თუ რატომ არ ამყარებენ ჩვენთან კონტაქტს სხვა პლანეტების მაცხოვრებლები, იმ პლანეტებისა, სადაც გაცილებით უფრო განვითარებული ცივილიზაციებია. თურმე ნუ იტყვით, ეშმაკი, ეკუთვნის ჩემს ხალხს, რომელიც ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ჩემი შთაგონების წყაროდ...“ — თქვა ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ბატონმა ოთარმა.

გამორჩენილი კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილმა საღამომ, რომელიც 19 თებერვალს გაიმართა, თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ სიტყვების ჭეშმარიტება. ზურაბ სოტკილავას, ნატალია გერასიმოვას, შევიოლინე ქეთევან თუშმალიშვილის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ლიანა კალმახელიძის, თამარ გურგენიძის, ანზორ შომახიას, მოსკოვის კამერული გუნდის შესრულებით, რომელსაც ვლადიმერ მინინი ხელმძღვანელობდა, აყოერდა კომპოზიტორის მიერ ვაჟაფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, მორის ფოცხიშვილის სიტყვებზე შექმნილი ნაწარმოებები.

...ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე ის სილამაზე, უორმლისოდაც წარმოუდგენელია ხელოვნება. ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა საღამომ თითქოს კიდევ ერთხელ შეგვახსენა მისი უდიდესი მისია, მუსიკისა და ადამიანის ბმის სილამაზე, ის მღელვარება, სიხარული და ესთეტიკური ტკბობა, რომელიც მას მოაქვს. და კიდევ ერთი ჭეშმარიტება დაადასტურა ამ ნათელი სევდით აღსავსე საღამომ, ნამდვილი მუსიკა ხალხს ეკუთვნის. იგი ყოველისშემძლე და უკვდავია. ოთარ თაქთაქიშვილის სახელი და მისი შემოქმედება ყოველთვის იქნება ჩვენთვის სინათლის, ნიჭის, სიბრძნის, მშობელი მიწის სიყვარულის სიმბოლო. (საქინფორმი).

ფასი სისხლისა

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის მაისში სრულდება 45 წელი დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სრულიად საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ გიორგი ფუშჯაძეს და საუბარი ჰქონდა მასთან.

— **საბჭოთა** კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშიზმის განადგურებაში, რაც თავის დროზე სათანადოდ შეაფასა მთელმა მსოფლიომ.

ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილ იმ 600.000 მებრძოლს, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე.

სამწუხაროდ, ჩვენ შეიარაღებულ ძალებში უკანასკნელ პერიოდში შექმნილმა არასახარბიელო სიტუაციამ საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფითად განაწყო, როგორც ომის ვეტერანთა, ისე სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რაც გაღრმავდა საბჭოთა არმიის ინტერვენციით ავღანეთში, ხოლო 1989 წლის აპრილში თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ უაღრესად გაამწვავა ურთიერთობა ქართველ საზოგადოებასა და არმიას შორის. საზოგადოება ითხოვს ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნას, უმაღლეს სასწავლებელში სამხედრო კათედრების გაუქმებას, ბოიკოტს უცხადებს აღნიშნული საგნის სწავლებას.

ეს უკანასკნელი აქცია საზიანოა ვითარებისათვის, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო წარმოუდგენელია მძლავრი საჯარისო შენაერთების გარეშე. ხოლო ამ საჯარისო შენაერთების აღზრდისა და შექმნისათვის პირველ რიგში გამოყენებული უნდა იყოს სწორედ ქართულენოვანი ოფიცრებით დაკომპლექტებული ჩვენი სამხედრო კათედრები.

ომის ვეტერანთა სრულიად საქართველოს ასოციაცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება იმას, რომ მათი საბრძოლო დამსახურება ფაშიზმზე გამარჯვებაში თანდათან იჩრდილებოდეს, რაც პირველ რიგში ზიანს მიაყენებს დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ძლიერებას.

კონკრეტულად ჩვენი წინადადებანი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 45 წლისთავის აღსანიშნავად წარვუდგინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. კერძოდ, ვაყენებთ წინადადებებს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის შექმნისათვის სამთავრობო დადგენილების მიღების შესახებ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე მეინიკოს სამამულო ომის გმირთა სახელები მათი მშობლიური ქალაქებისა და სოფლების ქუჩებს, ომის ყველა ინვალიდი, მონაწილე და ომში დაღუპულთა ოჯახი უზრუნველყოფილ იქნას სცხოვრებელი ბინითა და ტელეფონით 1990-91 წლების განმავლობაში დაწესდეს ყველა წარმოდგენილ დაწესებულებისათვის ჯავშანი სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეების სამუშაოზე მისაღებად და აღნიშნულ პირთა სამსახურიდან განთავისუფლება მოხდეს არა ასაკის, არამედ მათი შრომისუნარიანობისა და სურვილის მიხედვით, ეთხოვოს საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრებს თავიანთ ნაწარმოებებსა და პუბლიკაციებში ფართოდ ასახონ დიდი სამამულო ომის მასალები.

წამოყენებულია აგრეთვე სხვა კონკრეტული წინადადებები სამამულო ომის მონაწილეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური კეთილდღეობის ზრდისათვის.

— საქართველომ, — თქვა დასასრულ გ. ფუშჯაძემ, — საკუთარი სისხლი გაიღო ომში გამარჯვებისათვის, ყველაზე საუკეთესო შვილები გაგზავნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში და ამის დავიწყება არასოდეს არ შეიძლება, ყოველნაირი პატივი უნდა მივაგოთ ომის მონაწილეებსა და გმირებს.

მიეძღვნა ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნას

ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა თავისი ერთგული შვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობთ, თუ რა აუნაზღაურებელი დანაკარგი განვიცადეთ. მაგრამ ჩვენთან დარჩა, ყღერს, ცოცხლობს მისი შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც აღსავსეა უშრეტი ენერგიით, დახვეწილი გემოვნებით, ასე რომ აღელვებს საქართველოს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, საზღვარგარეთის მსმენელთა გულებს. დიდი მუსიკოსისა და შესანიშნავი მოქალაქის შემოქმედება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლით დაამტკიცა ქართული კულტურის, შშობელი ხალხის ერთგულება, მილიონობით მსმენელს აპყრობს ღრმა აზრით, ფილოსოფიური შინაარსით, მკაფიოდ გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიციით, თანამედროვეობის დიდი და საკირბოროტო პრობლემების დასმით.

თავისი შემოქმედებით იგი უმღერიდა წარუვალ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს — მშვიდობასა და შეგობრობას, სიყვარულსა და ძმობას. „ყველაფერი, რაც შევქმენი, ეკუთვნის ჩემს ხალხს, რომელიც ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ჩემი შთაგონების წყაროდ...“ — თქვა ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ბატონმა ოთარმა.

ბალეტის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ლიანა კალმახელიძის, თამარ გურგენიძის, ანზორ შომახიას, მოსკოვის კამერული გუნდის შესრულებით, რომელსაც ვლადიმერ მინინი ხელმძღვანელობდა, აყოერდა კომპოზიტორის მიერ ვაჟაფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, მორის ფოცხიშვილის სიტყვებზე შექმნილი ნაწარმოებები.

...ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე ის სილამაზე, უორმლისოდაც წარმოუდგენელია ხელოვნება. ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა საღამომ თითქოს კიდევ ერთხელ შეგვახსენა მისი უდიდესი მისია, მუსიკისა და ადამიანის ბმის სილამაზე, ის მღელვარება, სიხარული და ესთეტიკური ტკბობა, რომელიც მას მოაქვს. და კიდევ ერთი ჭეშმარიტება დაადასტურა ამ ნათელი სევდით აღსავსე საღამომ, ნამდვილი მუსიკა ხალხს ეკუთვნის. იგი ყოველისშემძლე და უკვდავია. ოთარ თაქთაქიშვილის სახელი და მისი შემოქმედება ყოველთვის იქნება ჩვენთვის სინათლის, ნიჭის, სიბრძნის, მშობელი მიწის სიყვარულის სიმბოლო. (საქინფორმი).

უსიჯოლიჯი

საქლესი იუფლება

22 თებერვალი

● აშშ

ჯ. ბუშმა მიიღო მ. როსტროპოვიჩი

ვაშინგტონი. „ყოჩაღ, სლავა!“ — **რუსულად ნათქვამი ამ სიტყვებით მიესალმა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ოთხშაბათს საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს მსტისლავ როსტროპოვიჩს. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა ვაშინგტონში მოსკოვსა და ლენინგრადში ორკესტრის პირველი გასტროლების დამთავრების შემდეგ.**

„მაესტრო, დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენი მიღება დღეს წარმატებული მოგზაურობის შემდეგ, — თქვა პრეზიდენტმა მიღებაზე. — ამერიკა დიდად ამაყობს თქვენით. დიდი ხნის მრლოდინის შემდეგ ეროვნული სიმფონიური ორკესტრის საბჭოთა კავშირში მოგზაურობა ჩვენი ცვლილებადი მსოფლიოს გამოხატულებაა. არც ერთი აქ დამსწრე ვერც კი წარმოიდგენდა იმ მოვლენებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოხდა, ან ცვლილებებს თქვენი და გალინას ცხოვრებაში ესოდენ დიდი ხნის ლოდინისა და იმედის შემდეგ“.

როსტროპოვიჩი სსრ კავშირში პირველად იმყოფებოდა მას შემდეგ, რაც 16 წლის წინათ იგი იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა. ამას წინათ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ საბჭოთა მოქალაქეობა აღუდგინა გამოჩენილ დირიჟორსა და შემსრულებელს, აგრეთვე მის მეუღლეს გალინა ვიშნევსკაიას.

● გდრ

თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისათვის

ბერლინი. **რესპუბლიკის ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები — ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნები — იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომის დღის წესრიგში.**

ამიერიდან არსებობს ყველა სამართლებრივი საფუძველი თავისუფალი საყოველთაო, თანასწორუფლებიანი და პირდაპირი არჩევნებისათვის. დეპუტატებმა მიიღეს კონსტიტუციის სათანადო შესწორებები, კანონი არჩევნების შესახებ და მათი მოწყობის წესის შესახებ დებულება, აგრეთვე კანონი პარტიებისა და გაერთიანებების შესახებ, რომელიც, კერძოდ, კრძალავს ისეთი პარტიების შექმნას და საქმიანობას, რომლებიც მიზნად ისახავენ ფაშისტურ, მილიტარისტულ და ანტიჰუმანურ მიზნებს, ქადაგებენ რწმენისადმი, რასებისადმი შეუწყნარებლობას, სხვა ხალხებისადმი სიძულვილს.

სახალხო პალატის პრეზიდენტის ჰ. მალოიდას წინადადებით მიიღეს მიმართვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი ყოველნაირად უზრუნველყონ სიმშვიდე და არაძალადური განვითარება. ეს იქნებოდა არსებითი წვლილი ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მომზადებისა და გამართვის საქმეში.

● გფრ

მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტით

ჰ.-დ. გენშერმა ინტერვიუ მისცა რადიოსადგურ „დოიჩლანდფუნკტს“

ბონი. **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მუდამ ბაზგასმით აღნიშნავდა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკება არავითარ შემთხვევაში არ გაიმართება ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს ზურგს უკან, განაცხადა რადიოსადგურ „დოიჩლანდფუნკიხათვის“ მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ.-დ. გენშერმა. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ მხარს დავუჭერთ მუდმივ კონტაქტებს ამ სახელმწიფოებთან. მე ერთხელ კიდევ ვადასტურებ, რომ ამ სახელმწიფოთა უფლებებს ჩვენ საეჭვოდ არ მივიჩნევთ.**

მომდინარე წელს გაიმართება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც შეიძლება ამოსავალი პუნქტი გახდეს გაერთიანებული ევროპის შექმნისათვის, აღნიშნა მინისტრმა. გენშერმა უპასუხა კითხვას, შეძლებს თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიბაძოს საფრანგეთის, მაგალითს და გამოვიდეს ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან, და თქვა: ჩემი აზრით, ფედერალური რესპუბლიკის სტატუსი რამდენადმე სხვაგვარია, ამიტომ არც დამდგარა საკითხი ამგვარ ცვლილებათა შესახებ. განიარაღების პროცესი არ უნდა ჩამორჩეს პოლიტიკურ განვითარებას. სხვაგვარად უნდა განისაზღვროს სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ამოცანებიც. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა მათი, როგორც მასტაბილიზებელი ფაქტორების, უდიდესი როლი. ეს შეესაბამება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისს.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ გუდაბეშტი. **უნგრეთში ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მეთაურობით. ვიზიტის მიზანია ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გაცნობა, დახმარების გასაწევად მთელი რიგი საკითხების, აგრეთვე ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივების გარკვევა.**

◎ ოტავა. **დიდი შესაძლებლობანი და საკმაო რისკი — ასე შეიძლება შეჯამდეს კანადის ბიზნესის მხრივ საბჭოთა ბიზნისა და საბჭოთა პარტნორებთან თანამშრომლობის შეფასება. ერთიც და მეორეც აღინიშნა ბევრ გამოსვლაში კონფერენციაზე, რომელიც ტორონტოში გაიმართა. კონფერენციაში, რომელიც მოაწყეს იორკის უნივერსიტეტმა და კანადა-საბჭოთა კავშირის საქმიანმა საბჭომ, მონაწილეობდნენ კანადის ბიზნესმენსა და სამთავრობო დაწესებულებათა წარმომადგენ

ზრდიდა საშუოზლოს ერთგულ ჯარისკაცებს

(დასასრული)

ბუნებრივია, სწავლა-აღზრდაში გამორჩეული იყო უხეშობა, გაუბრალოება, შინაურობა, მკაცრი იყო და სამართლიანი ხელქვეითებისაგან მოთხოვნა. ისიც გასაგებია, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ შეცდომისა თუ ცდუნების გამო, თუნდაც მწარე ყოფილყო უფროსის სიტყვა, მშობლიურ ენაზე ნათქვამს ისე მტკივნეულად არ ღებულობდა თანამემამულე მეომრის გული და გონება. ჯარისკაცი საქმით ცდილობდა ნაკლის გამოსწორებას, საწესდებო მოთხოვნათა დაცვას.

ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ მეთაურები და პოლიტმუშაკები, ბუნებრივად, ორგანულად ჩაურთავდნენ ხოლმე თავიანთ საუბრებში, რომ ამემად ქართველი მეომრები მონაწილეობენ სამართლიან, სამამულო, განმათავისუფლებელ ომში, როგორც მათი მამა-პაპანი, სახელოვანი დავითის, თამარის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორის მეომრები წარსულში ეწეოდნენ ხმლოდ სამართლიან, განმათავისუფლებელ ომებს უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

სამამულო პროგრესული სამხედრო ტრადიციის, დიდგორის, ბასიანის გმირების დრმოსადმი ერთგულებაზე მიმზიდველი თხრობა უთუოდ კეთილ გავლენას ახდენდა თანამოკალეთა მაღალი ეროვნული სულისკვეთების ფორმირებაზე.

392-ე ქართულ მსროლელ დივიზიას სხვადასხვა დროს მეთაურობდნენ: პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) ისიდორე სილაგაძე, პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) გიორგი ყუფარაძე, პოლკოვნიკი სოლომონ ბოლქვაძე, პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) ივანე ბაბალაშვილი, დივიზიის კომისარი, უფროსი ბატალიონის კომისარი, სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის კურსდამთავრებული კონსტანტინე სოხაძე; შეიადგინის შტაბის უფროსებად იყვნენ: პოდპოლკოვნიკი სტეფანე ბერუაშვილი, მაიორი ისმაილ გიორგვანი, პოლკოვნიკი პეტრე შილოვი; პოლიტგანყოფილების უფროსებად — ბატალიონის კომისარი გრიგოლ გუმბარიძე, მაიორი მაქსიმე ბალავაძე, შტაბის კომისარი, მაიორი მოსე მექვაბიშვილი, შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, მაიორი (შემდგომ გენერალ-მაიორი) ივანე შაიშმელაშვილი, ზურგის სამსახურის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ვლასი შარაშიძე, დივიზიის არტილერიის სარდალი, პოლკოვნიკი ვახტანგ რცხილაძე, შტაბის უფროსი, მაიორი კონსტანტინე ასათიანი და სხვანი.

ქართული შენაერთის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება იყო მისი პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბრძოლო დარაზმულობა, ერთსულოვნება, მხედრული, პოლიტიკური და კულტურული აღზრდის ერთიანი, მეცნიერული სისტემის ეროვნული მიმართულება, მთელი ამ მრავალმხრივი მუშაობის წარმართვა მშობლიურ ქართულ ენაზე, რაც უფრო გასაგებსა და მახლობელს ხდიდა მომდინარე ამოცანებს.

ქართველ მეომართა სწავლა-აღზრდაში მეთაურები და პოლიტმუშაკები უნარიანად იყენებდნენ საჯარისო წესდებების ქართულ თარგმანს, სამხედრო ფიცის ტექსტს მშობლიურ ენაზე, ლადო ცაგარლის „ქართულ ტექნიკურ-სამხედრო ლექსიკონს“ (პროფ. გიორგი ახვლედიანის რედაქციით), საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დასტამბულ „რუსულ-ქართულ სამხედრო ლექსიკონს“ ბესარიონ კიზირიას რედაქციით, ქართულ სადივიზიო და საფრონტო გაზეთებში გამოქვეყნებულ შესაბამის მასალებს.

შენაერთის პოლკებისა და ქვეგანაყოფების პოლიტმუშაკების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელში არაერთი აქტიური და ქმედითი საშუალება იყო, რომელთა უნარიანი გამოყენება ამაღლებდა მეომართა შეგნებას, მათს მხედრულ გაწაფულობას, ბრძოლისუნარიანობას, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შეხვედრები რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციებთან, ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან.

ქართულ შენაერთში მშობლიურ ენაზე მრავალფეროვანი, შთამაგონებელი და დამრაზმველი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ორგანულად ერწყმოდა მეომრული ოსტატობის, მხედრული მზადყოფნის სრულყოფისა და დასახული საბრძოლო ამოცანის უთუო შესრულების საქმეს. ამიტომ იგი ხელს უწყობდა ეროვნული დივიზიის, მისი ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მხედრულ ჩამოყალიბებას, მათი ბრძოლისუნარიანობის, თანამოქმედების ამაღლებას, მეომრული კოლექტივის, საჯარისო ამხანაგობისა და მეომრული მეგობრობის გრძნობის სრულყოფას.

ასეთი მიზანმიმართული უწყვეტი პარტიელი-პოლიტიკური მუშაობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ჯარში მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების გამომუშავებას, გამარჯვების ჯარისკაცური მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას, მომავალ ბრძოლებში გამოცდილი და ძლიერი აგრესორის წინააღმდეგ წარმატებულ მოქმედებას.

დიდი სამამულო ომის წლებში არაერთხელ დამსახურებულად აღნიშნული 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის, მისი პირადი შემადგენლობის მამაცობა და გმირობა, მათი მეომრული ოსტატობა და მებრძოლი პატრიოტიზმი.

„დღეს საქართველო ამაყად გამოიყურება, — სწერდა თავის მისალმებაში 1942 წლის 14 დეკემბერს ღირსეული მამულიშვილი შალვა დადიანი 392-ე ქართული დივიზიის მეომრებს, — მას ბევრი რამ ჰქონდა საამაყო წარსულშიც, თავისი ისტორიის დიდ მანძილზე. მას წარმოუშვია უდიდესი და რჩეული ადამიანები, რომელთა ლამაზი სახელები შარავადდად დასკიმციმებს ქართველი ხალხის მატიანეს.

დღეს ოთხი ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი კიდევ შეგვეძინა. სხვა მომმე რესპუბლიკებსა და საქართველოს გმირებს სახელოვნად გვერდში ამოუდგნენ ამხანაგები ნ. გოგიჩაიშვილი, ვ. კანკავა, ვ. ლურსმანაშვილი და ა. პირმისაშვილი.

ჰოი, საყვარელო სამშობლოვ! რა გასახარია, რა საამაყოა, რომ შენი შვილები კვლავ იჩენენ შენი ხალხის საუკეთესო თვისებებს — მამაცობას, გამჭრიახობას, თავდადებას და ერთგულებას“.

ეს და სხვა დოკუმენტები თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ დიდი სამამულო ომის დროს ფორმირებული ქართული შენაერთების ეროვნულ ნიშან-თვისებებს, მათი პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობას, მხედრულ ოსტატობას, მებრძოლურ სულისკვეთებას და მამულიშვილობას დედასამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის ბრძოლებში!

პეტრე შამათავა,
გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

„ბამეულავნებული არმია,

ახლ მოვეჩვიეთ, გვეამაყებოდა ხაბჭოთა არმია. კალენდარში წითელი ფურცლით და ხალუტებით ალვნიშნავდით მისი გმირული ისტორიის ყოველ ახალ წელიწადს. იუბილისათვის სპეციალურ მედლებს ვუშვებდით. პატარა ბავშვებმაც კი მტკიცედ იცოდნენ, რომ ჩვენი არმია ხალიდოდ დგას სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე და არანაირ მტერს არ მისცემს უფლებას წაგვართვას ეს მონაპოვარი.

„გლასტნოსტის“ ეპოქის დაწყებით ხამხედრო საიდუმლოებათა გაუმტარმა ფარდამ თანდათან აწევა დაიწყო და ის, რაც ჩვენ დავინახეთ, მთლიანად ცვლის წარმოდგენას „ურყევსა და ლეგენდარულზე“. მატიას რუხტის პატარა ხპორტულმა თვითმფრინავმა იოლად შეარყია გულდაჯერებულობა. ჩვენ კი ნახევრად ვშიმშილობდით დ? საკუთარ თავს თვითონვე ვუხსნიდით, რომ ხამაგიერად, მტკიცე თავდაცვა გვაქვს...

ხასოწარკვეთით შევიტყვეთ, რომ წითელი არმიის ლეგენდარულ ისტორიაში არამარტო სევასტოპოლის დაცვის და ბერლინის აღების ხასახელო ფურცლებია, არამედ, ნოვოჩერკასის, პრაღისა და თბილისის ხამარცხვინო დაღიც არის დასმული. რომ ოფიცრებს შორის პროტორიაში ანონიმებზმ, არაკომპეტენტურობასა და ლოთობას ფართოდ გაუდგამს ფესვები, ჯარისკაცებში კი ხამარცხვინო „დედუშკინობა“ მოძალებულა. შეეტყვეთ, რომ ავღანეთში მეომრების სწორუპოვარმა გმირობამაც კი მთლიანობაში დიდება ვერ შესძინა ხაბჭოთა არმიას. რომ ხაბჭოთა არმიელების ოჯახები ხამოკალაქოებზე ბევრად უარესად და ძნიმედ ცხოვრობენ, არმიიდან ვადამდე წასვლა კი მხოლოდ განზრახ ჩადენილი სერიოზული დანაშაულის გამო შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველფერი ის, რაც გაგიგეთ ხაკუთარი შეიარაღებული ძალების შესახებ, სრულიად ხაკმარისია, რომ დავსვათ კითხვა: ასეთი არმია გვჭირდება ახლა, როცა კლიმატი მთელს მსოფლიოში ხაგრძნობლად ვათბა?

ავღანელებად მონათლულ იქ მებრძოლ ჯარისკაცებს სხვანაირად კიდევ მეომარ-ინტერნაციონალისტებს ეძახდნენ. ისტორიას ახსოვს ინტერნაციონალიზმის გამოვლინებები, ვთქვათ, როცა ბაირონი ტოვებს სამშობლოს და ომის ქარცეცხლში გადაეშვება, რომ იქ ჰპოვოს შვება თავისი კაცთმოყვარული სულისკვეთების გამოსავლენად. ანდა ილია ჭავჭავაძე რომ იყო შეგულიანებული გარიბალდითან სამართლიანად წასასვლელად. ჩვენი ბიჭების „ინტერნაციონალიზმი“ კი მთლიანად თავსმოხვეული იყო. მოლდავეთში მიდგეთარი ბიჭებოო — დაამშშიბებდნენ უკვე ეშელონში ჩამსხდარ ყმაწვილებს და სამარყანდში კი ამოაყოფინებდნენ თავს. ოჯახებისთვის გარდაცვალების დეპეშაზე ნაკლები ელდა როდი იყო შუაზიდან ან ავღანეთიდან მოსული ჯარისკაცის წერილი. ცხოვრების გზაზე გამოსული ფართოდ თვალებგახელილი ბიჭებისთვის კი სიკვდილის პირისპირ აღმოჩენაზე უფრო სასოწარკვეთილი ალბათ ის იყო, რომ უნდა დაესწროთ და ესროლათ მხოლოდ იმიტომ, თვითონ ვადარჩენილიყვნენ, უნდა მოეკლათ, რათა დაღუპული მეგობრის მაგიერ ეძიათ შური, უნდა ეომთ და გაემარჯვთ, რომ კიდევ ახალ-ახალი მსხვერპლი არ ყოფილიყო საპირო, თორემ მითი რომ იქ, შორეულ ავღანეთში, ისინი მშობლიური ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს იცავდნენ, თავიდანვე დაუჯერებლად ეღერდა.

ეს სიტყვები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ ორი წლის წინათ დაიბეჭდა:

ნ. ბერიანიძე: კითხვა, რამდენი კაცი მოგიკლავსო, ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია.

ე. თოფურია: მანამ გვერდით ძმაკაცს არ მოგიკლავდნენ და სულიან-ხორციანად არ შეგძრავდნენ, გიჯირდა იარაღის მომარჯვება.

თ. მამარდაშვილი: იცით რა არის, პირველად კაცს რომ დაუმიზნებ?...

ა. გორგაძე: ის წლები ცხოვრების დიდ სკოლად გვექცა.

დღეს აბობოქრებულია საზოგადოებრივი აზრი: ვინ არიან ავღანელები — ჩვენი დროის გმირები, თუ დამნაშავენი, რომელთაც პასუხი უნდა აგონო. უფრო სწორია, ალბათ, ვიფიქროთ, რომ „ავღანელები“ ჩვენი გაუმართლებელი პოლიტიკისა და უნიჭო სტრატეგიის გამო უკვე დასჯილები არიან. თითოეულმა მათგანმა დიდი სულიერი მხნეობა და ნამდვილი გმირობა გამოავლინა ამ დანაღმული დღეების განმავლობაში, ჩვენგან ისინი მხოლოდ თანაგრძნობა-მიუხედავად იმისა, ბევრი მაღალჩინოსანი ხამხედრო პირი კვლავაც დაჟინებით ირწმუნება, უფრო ხელსაყრელია გვყვადეს ძვირადღირებული არაფექტური არმია, რომელიც ხაყოველთაო ხამხედრო ბეგარის პრინციპით იქნება შედგენილი, ვიდრე ძვირადღირებული, მაგრამ არცთუ დიდი და მაღალკვალიფიციური, ხაზოგადოება სულ უფრო და უფრო რწმუნდება, ვინ არის ამ კამათში სწორი.

და ჩვენს გადახახადის გამლებელს, ხალხს ხურს, იმედი აქვს, ბოლოს და ბოლოს, ის მოითხოვს, რომ მისი ფულით ხაიმედოდ იცავდნენ. იცავდნენ ხაქმით, იცავდეს კარგად ნაბეჭავლი ჯარისკაცი და არა ლაფნის ჯარისკაცი კალენდრის წითელი ფურცლიდან.

ე. მორეფაროტო,
თადარიგის ოფიცერი“.

(„არგუმენტი ი ფაქტი“ 17-23 თებერვალი, 1990 წელი)

ქართულ პრესაში რომ ასეთი კრიტიკული შეფასებები გამოთქმულიყო, 9 აპრილით გაკაპასებულ გულღრძო ოპონენტებს დავემსგავსებოდით. იმ დლემ მართლაც ბევრი გულისტკივილის ამოთქმის სურვილი გააჩინა, მაგრამ ხომ ხედავთ, თვითონ საკავშირო პრესა სვამს საკითხს გადაჭრით, როგორი არმიაა საჭირო, როგორი უნდა იყოს ჯარისკაცი. ეს კითხვები ჩვენთვის კიდევ ერთ დამატებით ნიუანსს შეიცავს, განა მართლაც არ უნდა ვიფიქროთ ეროვნული სულისკვეთებაც შევძინოთ არმიას?

„ნუ დაიფიცებ სხვის დედას და ნურც სხვის ომში იომებს!“ — გვასწავლის ქართული სიბრძნე. უთუოდ ანგარიშგასაწევია ეს შეგრნება. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, სწორედ ამიტომ ასე მტკივნეულად, ასე თვალნათლივ გამოაჩენა ავღანეთმა საბჭოთა არმიის არაპარადული სახე. დღეს ტრადიციულ სადღესასწაულო დღეს გვინდა არატრადიციისამებრ სწორედ ავღანეთში მებრძოლი ქართველი ბიჭების თვალით დანახულ პრობლემებზე დავფიქრდეთ.

ნუ დაიფიცებ სხვის დედას!..

ავღანელებად მონათლულ იქ მებრძოლ ჯარისკაცებს სხვანაირად კიდევ მეომარ-ინტერნაციონალისტებს ეძახდნენ. ისტორიას ახსოვს ინტერნაციონალიზმის გამოვლინებები, ვთქვათ, როცა ბაირონი ტოვებს სამშობლოს და ომის ქარცეცხლში გადაეშვება, რომ იქ ჰპოვოს შვება თავისი კაცთმოყვარული სულისკვეთების გამოსავლენად. ანდა ილია ჭავჭავაძე რომ იყო შეგულიანებული გარიბალდითან სამართლიანად წასასვლელად. ჩვენი ბიჭების „ინტერნაციონალიზმი“ კი მთლიანად თავსმოხვეული იყო. მოლდავეთში მიდგეთარი ბიჭებოო — დაამშშიბებდნენ უკვე ეშელონში ჩამსხდარ ყმაწვილებს და სამარყანდში კი ამოაყოფინებდნენ თავს. ოჯახებისთვის გარდაცვალების დეპეშაზე ნაკლები ელდა როდი იყო შუაზიდან ან ავღანეთიდან მოსული ჯარისკაცის წერილი. ცხოვრების გზაზე გამოსული ფართოდ თვალებგახელილი ბიჭებისთვის კი სიკვდილის პირისპირ აღმოჩენაზე უფრო სასოწარკვეთილი ალბათ ის იყო, რომ უნდა დაესწროთ და ესროლათ მხოლოდ იმიტომ, თვითონ ვადარჩენილიყვნენ, უნდა მოეკლათ, რათა დაღუპული მეგობრის მაგიერ ეძიათ შური, უნდა ეომთ და გაემარჯვთ, რომ კიდევ ახალ-ახალი მსხვერპლი არ ყოფილიყო საპირო, თორემ მითი რომ იქ, შორეულ ავღანეთში, ისინი მშობლიური ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს იცავდნენ, თავიდანვე დაუჯერებლად ეღერდა.

ეს სიტყვები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ ორი წლის წინათ დაიბეჭდა:

ნ. ბერიანიძე: კითხვა, რამდენი კაცი მოგიკლავსო, ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია.

ე. თოფურია: მანამ გვერდით ძმაკაცს არ მოგიკლავდნენ და სულიან-ხორციანად არ შეგძრავდნენ, გიჯირდა იარაღის მომარჯვება.

თ. მამარდაშვილი: იცით რა არის, პირველად კაცს რომ დაუმიზნებ?...

ა. გორგაძე: ის წლები ცხოვრების დიდ სკოლად გვექცა.

დღეს აბობოქრებულია საზოგადოებრივი აზრი: ვინ არიან ავღანელები — ჩვენი დროის გმირები, თუ დამნაშავენი, რომელთაც პასუხი უნდა აგონო. უფრო სწორია, ალბათ, ვიფიქროთ, რომ „ავღანელები“ ჩვენი გაუმართლებელი პოლიტიკისა და უნიჭო სტრატეგიის გამო უკვე დასჯილები არიან. თითოეულმა მათგანმა დიდი სულიერი მხნეობა და ნამდვილი გმირობა გამოავლინა ამ დანაღმული დღეების განმავლობაში, ჩვენგან ისინი მხოლოდ თანაგრძნობა-ს და თანადგომას იმსახურებენ. მით უფრო, რომ არც ერთ ქართველ ჯარისკაცს ავღანეთის მიწაზე მგზორა არ მიუღია.

ეს სიტყვებიც, რასაც ახლა ჩაიკითხავთ, ასევე ამ ორი წლის წინათ, 1988 წლის 22 მარტს არის დაბეჭდილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამ მოვლენს იმიტომ ვიხსენებ ასე თავგამოდებით, რომ ასეთი გულისტკივნის გამეღვიძებას მაშინ უფრო დიდი ფასი ჰქონდა.

ა. გორგაძე: სიკეთისა და პატიოსნების გარეშე ძამულის სიყვარულზე ლაპარაკი ლიტონი სტაყვანია. მე ძალიან მინდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც ჩემს სამშობლოში საკუთარ სატკივარს თვითონვე მოვუვლით ჯახსადან, მართლად და სხვას არ გავუწვდით ყოველ წვრილმანზე საშველად ხელს.

ბიჭები გრძნობენ, რომ ეს დრო კარს მოგვდგომია და ამიტომ აფუსფუსდნენ, თავმოყრა და დარაზმა გადაწყვიტეს. „ავღანელთა“ ასოციაცია“ უნდა დაარეფუძნონ, თავიანთი მეგობრობის და ერთსულოვნების სადარი საქმეები უნდა აკეთონ. აკეთონ, რა თქმა უნდა, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ.

ბევრი ალბათ ერიდებოდა კომენდანტის საათის დროს თბილისის ქუჩებში გამოსვლას, ჩვენ კი იმ დღეებში მეტწილად გვიგვიანდებოდა გაზეთის გამოშვება და კარგად გვახსოვს, ყოველი შემთხვევისთვის მომარჯვებული დაძაბული ღიმილი გულდადინჯებამ როგორ შეიცვალა, როცა საკონტროლო პუნქტებზე ჯარისკაცების გვერდით ჩვენი „ავღანელები“ გვიგებებოდნენ.

ეს საქებარი სიტყვები უკანასკნელ ხანს ქართულ პრესაშიც აქა-იქ გამოჩენილი გამკენწლავი და გულსაკლავი სიტყვების გამო ვთქვი, თორემ ჩვენს დღევანდელ წერილს სრულიად სხვა მიზანი აქვს, ის სულისშემძვრელი შემთხვევები მინდა გაგიზიაროთ, ბიჭებმა რომ გამიმხილეს.

80-იანი წლების დასაწყისში ავღანეთიდან ჩამოსულ ჯარისკაცთან შეხვედრას ჟურნალისტისათვის აზრი არ ჰქონდა. მათგან ვერაფერს შეიტყობდი, მრავალმიშვნელოვანი დუმილით გპასუხობდნენ ყველაფერზე და კიდევ, უდროოდ დაკაცებული ხასიათის მომნუსხველობას გრძნობდი, რაც საყვედურსაც ვერ გამქმედნებდა. ახლა კი ბიჭებმა მძიმე-მძიმედ, მაგრამ მაინც მითხრეს ზოგი რამ.

გია ჯაფარიძე: შეტაკებების შემდეგ, როცა ერთბაშად მრავალი დაჭრილი მოჰყავდათ სანიტარულ ნაწყლში, დიდი განუკითხაობა იყო. ელვისებურად ადარისხებდნენ უიმედოებსა და მისახედებს. ჯონნი კაიდარაშვილი და ოთარ ცერიკაშვილი უკვე მორგში ჰყავდათ მოთავსებული, იქიდან გამოვათრიე, გადარჩენენ ბიჭები.

ჯეო ჭელაური: ორმა ზემდეგმა ვაზნებით სავსე ორი ყუთის ფასად, ესე იგი, 2500 ვაზნად, იყიდა პუშტუნთა ტომის ქალი და კარავში ჰყვდათ. ფაქტიურად მათ დუშმანებს ჩაუგდეს ხელში იარაღი. კონსერვებით, სურსათით პირსახოცებით ვაჭრობა მოსახლეობასთან ძალიან სარფიანი იყო. აბა, რა უნდა გვქონა, მფრინავები 1 ბოთლ არაყში 50 ჩეკს ითხოვდნენ, 1 ბოთლ კონიაკში კი — 90-100 ჩეკს. ჩვენ კი ჯარისკაცებს ყოველთვიურად მხოლოდ 9 ჩეკს გვიხდიდნენ.

აკაკი გორგაძე: რამდენჯერ ოფიცრების ახირებულ და გაუმართლებელ ბრძანებას უმსხვერპლია ჯარისკაცები. ერთხელ ერთი ჯარისკაცი შუაუხელი ბიჭი ჩამოგვრჩა და დუშმანებთან გადავიდა. მეთაურს უნდოდა მისი სამაგალითოდ დასჯა, გადაწყვიტა ათეული გაეგზავნა გაქცეულის შესაპყრობად. გასცა ბრძანება, ეს სრულიად უგუნური ბრძანება იყო. ნაწილისაგან ათეულის მოწყვეტა და უკან დაბრუნება თვითმკვლელობას უდრიდა. ვის სურდებოდა ასეთი მსხვერპლი? მხოლოდ მას თავის გასამართლებლად.

ბივი ბაღდავაძე: თუ დაიჭრებოდი, ეს ერთი უბედურება იყო, მაგრამ მეორე უბედურება იყო ის, რამდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა შენი ჭრილობა. ეტყობა, არმიაში გახშირდა თაგვგამეტების და სიმულაციის შემთხვევები და უდიდესი სიმკაცრით ისჯებოდა, როგორი ჭრილობა გქონდა მიღებული.

ბიჭებმა მითხრეს, ჩვენი მეგობრისგან სერგო კოროლიოვისგან სპირდებათ, დიდი და ნამდვილი, კაცური საქმის კეთება შეუძლიათ და, თუ ეროვნული არმიის შექმნა მოხერხდება, ყველანი მზად არიან ხელი გამოიღონ.

— გვეყო აღმასკომების და კომისარიატების ცალ-ცალკე ეირიშები, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ. გავერთიანდეთ არამარტო ავღანეთში მებრძოლი 5000 კაცი, არამედ ყველა ისინი, ვინც სხვადასხვა კონტაქტებით იყვნენ დაკავშირებული ავღანეთთან, შემოგვეერთდებიან ალბათ სხვადასხვა თანამგრძნობნიც და ჩვენივე ძალებით, ჩვენს მიერვე მოპოვებული სახსრებით უნდა მივხედოთ ჩვენი დაღუპული მეგობრების საფლავებს, მათ ოჯახებს, მივხედოთ ინვალიდებს. ჩვენი ხელებით აშენებული საირიგაციო კომპლექსის გამო დღესაც მაღლიერების გრძნობას გამოთქვამს ჯალალაბადის მოსახლეობა, დღესაც ფუნქციონირებს ავღანეთის მიწაზე ჩვენი შექმნილი ახალგაზრდული ცენტრი, 1 მილიონი მანეთის საქონელი გადასცა საქართველოს ახალგაზრდობამ მაშინ ავღანელ ხალხს და, დავიჯერო, დღეს არ გამოჩნდებიან ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი საქველმოქმედო ორგანიზაციის დაფუძნებაში მიიღებენ მონაწილეობას? განა არ ვიცი ბიჭები, რამდენჯერ სიკვდილს ჩახედეთ თვალებში, რამდენჯერ ბიუროკრატიზმს ჩახედეთ თვალებში, ამ ერთხელაც ერთიანი ძალით უნდა მოგვიღონმოთ, საფუძვლის ჩაყრის სიძნელეებთან შებმა და, რომ მოვაღონიერებთ ჩვენს ასოციაციას, მერე წინ რაღა დაგვიდგება, მე მჯერა თქვენი, ბევრ სასაკეთო, მამულიშვილურ საქმეს შეეძლებთ — ლაპარაკობს ნოდარ გიორგაძე, თვითონაც ავღანეთგამოვლილი, ახალგაზრდა თმამევერცხლილი კაცი და თითქოს გაუგებარია რაში ჭირდება მას, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს, იმ ძნელი და ორაზროვნული საქმის წამოწყება. რატომ იფორიაქებს ცხოვრებას, მაგრამ, ეტყობა, ავღანელ ბიჭებს არ ეთმობათ ერთმანეთი. არ ეთმობათ ის მწარე წარსულიც, მათი მეგობრობა რომ შეადუღაბა. და, რაც მთავარია, გრძნობენ ბიჭები, ისევ მოვიდა დრო, როცა ქართველმა კაცმა თავისი მეომრული მხედრული ნიჭი კვლავ უნდა ააორორძინოს და გაგა შეიძლება არავის დასჭირდეს მათი გამოცდილება?!

მანანა კარტოზია.

• • •

სურათებზე: ზემოთ — თედო ნიკოლაოშვილმა პირველ ფოტოზე „ავღანელი“ ბიჭების ასოციაციის დაფუძნების ინიციატორთა ერთი ჯგუფი ალბეჭდა. (მარცხნიდან) გია ბერუაშვილი, აკაკი გორგაძე, ემზარ ბერიძე, ვაჟა წიკლაური, ნოდარ ქარელიძე, ვახტანგ ლინგაშვილი და ბესიკ ციხისელი.

ქვემოთ — მოთავსებული ფოტო კი გოგი ცაგარელმა შუა აზიის ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში გადაიღო, სადაც ავღანეთიდან ჩამოყვანილ დაჭრილებს მკურნალობდნენ. ჩვენთვის ეს ფოტო სიმბოლურია, ტრაგიზმისა და ოპტიმიზმის დიდ მუხტს შეიცავს. ჩვენთვის ეს ფოტო იმიტომაც არის სიმბოლური, რომ ჯარისკაცის სახეში ხავარძელს მიჯაჭვულ ჩვენს დიმიტრი ქვარცხავასაც ვხედავთ.

ფურცელი „კომუნისტს“

სრული სპორტული სუვერენიტეტისათვის

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკის) შექმნის დღიდანვე მისი აღმასკომი, ასრულებს რა სეოკის დამფუძნებელი კონფერენციის დაკლარაციისა და სეოკის წესდების მოთხოვნებს, ოლიმპიური ქარტიის გათვალისწინებით, იღვწის როგორც სეოკის, ისე სპორტული ფედერაციების სრული დამოუკიდებლობისათვის. განვლილი ოთხი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით გადაიდგა რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი, რაც ეუწყა კიდეც სპორტულ, და არამარტო სპორტულ, საზოგადოებრიობას. ოლიმპიური მოძრაობა საერთოდ, და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა კერძოდ, მოწოდებულია, სრულად წარმოაჩინოს ეერის ფიზიკური და სულიერი პოტენციალი ყოველგვარი დისკრიმინაციისა და კონიუნქტურის გარეშე.

ამა წლის 7 თებერვალს სეოკის სპორტული ფედერაციების კომისიის თაოსნობით გამართულ ფედერაციათა ხელმძღვანელებს თათბირზე აშკარად გამოიკვეთა მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, რომ ყველა სპორტულმა ფედერაციამ იზრუნოს სრული დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ — სხვა ქვეყნების, მათ შორის — მოკავშირე რესპუბლიკების, ან საერთაშორისო შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფორმების მოძებნაზე. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას და ცნობს მხოლოდ დამოუკიდებელ სპორტულ ფედერაციებს, პატივს სცემს რა სხვა ორგანიზაციათა სრულ სუვერენიტეტს, იფარგლება მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით, სტრატეგიული გეგმის დასახვით და თვლის, რომ მათი განხორციელების ტაქტიკური საშუალებების გამონახვა მთლიანად სპორტული ფედერაციების პრეროგატივაა. ამ ფონზე საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებები, როგორც სეოკის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, სეოკის აღმასკომის მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას ჰპოვებს. თითოეული სპორტული ფედერაციის საქმეა, როდის, როგორ და რა ფორმით განახორციელებს თავის სრულ სუვერენიტეტს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებას და როგორ წარმართავს თავისი სახელის განვითარებას; თუმცა აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული სპორტული და საერთოდ ეროვნული ინტერესები ასეთი ნაბიჯების რაც შეიძლება სწრაფად და მიზანმიმართულად გადადგმას მოითხოვს. არ შეიძლება ჯერჯერობით არ შევიფასოთ ის როლი, რომელიც, კერძოდ ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბებაში შეასრულა ფართო საზოგადოებრიობამ, ეროვნულმა მოძრაობამ. სასურველია მთელი ქართველი ხალხის დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა სპორტის სხვა სახეობათა პრობლემების გადაწყვეტაშიც. ეს დაინტერესება არ უნდა იყოს მხოლოდ ერთდროული, რადგან ერთია სპორტული დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო მეორე, და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, — მისი შენარჩუნება და განხორციელება ეროვნული ასპარეზობების — საქართველოს პირველობა იქნება ეს, საქართველოს თასის გათამაშება თუ სხვა — ყოველმხრივი უზრუნველყოფით, აქტიური მხარდაჭერით და საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი გასვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა სპორტული სუვერენიტეტის მოპოვების საქმეში არ გამორიცხავს სპორტის სპეციალისტთა და სპორტის მოღვაწეთა აზრის გათვალისწინებას, პირიქით — გულისხმობს კიდეც მას, ვინაიდან რომ როდესაც საკითხი ცალკეა და ეროვნულ პრობლემად იქცევა, საქართველოს ყველა მოქალაქეს დიახაც მართებს ვიწრო ინტერესების დათმობა ზოგად ლირებულებათა სასარგებლოდ.

ბოლოს დავძენთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, როგორც დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციები, უკვე ცნო ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, საქართველოს რაგბის კავშირი, საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაცია, საქართველოს უშუს ფედერაცია, საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია, საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია და ახლად შექმნილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. სეოკის აღმასკომი მიესალმება საქართველოს ყველა სპორტული ფედერაციის ცდას სუვერენიტეტის მოპოვებასა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებისათვის.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი თავისი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს იღონებს საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, რომელიც სეოკს, მისი დეკლარაციის თანახმად, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიაჩნია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი.

22 თებერვალი, 1990. თბილისი.

ამ საღამოს ცენტრალური

ტელევიზიით

ნარსული, რომელიც ვუდამ ჩვენთანაა

დღეს, 23 თებერვალს, თბილისის დროით 23 საათზე, ცენტრალური ტელევიზიის II პროგრამით ნაჩვენები იქნება ახალი. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წარსული ყოველთვის ჩვენთან არის“.

ფილმში მოქმედება ვდება მოსკოვში, 1947 წელს, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ქართველ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში — რიაზანის ქ. №3-ში.

სტუდენტი სავლე პეტრიაშვილი ჩაუწერაგად ცხოვრობს მოსკოვში და მილიციის ძალით უპირებენ გასახლებას...

ომს, ვისაც